

მაკროეკონომიკური პოლიტიკა

ლექცია 10

ლექცია 10.
საბიუჯეტო სისტემა
(მოკლე შინაარსი)

შესავალი

საბიუჯეტო სისტემის მცირე კურსი მიმოიხილავს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ზოგად ნორმებს და დებულებებს. კერძოდ პირველი ნაწილი ეხება საბიუჯეტო სისტემას და მის ძირითად პრინციპებს, ხოლო მეორე ნაწილი მიმოიხილავს საბიუჯეტო პროცესს და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებულ ზოგად დებულებებს. მესამე ნაწილი ეთმობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, წარდგენისა და მიღების პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებს, მეოთხე ნაწილში განხილულია პროგრამული ბიუჯეტის არსი და პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები, მეხუთე ნაწილი ეთმობა ბიუჯეტის აღსრულებისა და გეგმების მართვასთან დაკავშირებულ თემებს, მეექვსე ნაწილი მოიცავს სხვა დონის (ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების) ბიუჯეტების ზოგად მიმოიხილვას, ნაერთ ბიუჯეტს, ბიუჯეტის დეფიციტსა და მისი დაფინანსების წყაროებს, კურსის ბოლო ნაწილი მიმოიხილავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა და მისი პრინციპები

„საქართველო საბიუჯეტო კოდექსი“ მიღებული იქნა 2009 წლის დეკემბერში და მოქმედებს 2010 წლის 1 იანვრიდან. კოდექსში თავმოყრილია სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მარეგულირებელი ნორმები. საბიუჯეტო კოდექსის მიღებამდე შესაბამისი საკითხების რეგულირება ხდებოდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით.

კოდექსის მიღების შემდეგ მასში რამდენიმე ცვლილება შევიდა.

კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს, არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. (მუხლი 1)

კოდექსის პირველი თავი განმარტავს საბიუჯეტო სისტემას, როგორც საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების

შესასრულებლად ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით სამართლებრივი აქტებით რეგულირებულ საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობას. (მუხლი 2)

კოდექსში მოცემულია იმ საკანონმდებლო, კანონქვემდებარე და სხვა სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს საბიუჯეტო სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს (მუხლი 3) და აყალიბებს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ძირითად პრინციპებს, რომელიც უნდა დაიცვას საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა, უნივერსალობა და კონსოლიდირება (მუხლი 4).

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის განუყოფელი ნაწილია საბიუჯეტო პროცესი, რაც გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობას, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს (მუხლი 5).

საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებას, როგორცაა ბიუჯეტი, სახელმწიფო ბიუჯეტი, მხარჯავი დაწესებულება, საბიუჯეტო ორგანიზაცია და ა.შ. (მუხლი 6).

ბიუჯეტი – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების შესაბამისი ორგანოების მიერ;

მხარჯავი დაწესებულება – სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის – პროგრამული კლასიფიკაციის პირველი თანრიგით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაცია, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – თვითმმართველი ერთეული;

საბიუჯეტო ორგანიზაცია – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფუძნებული ან/და მის მიმართ ანგარიშვალდებულებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია;

პროგრამა – ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით, ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად და რომელთა განხორციელებისთვის პასუხისმგებელია ერთი მხარჯავი დაწესებულება;

ქვეპროგრამა – მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

2. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ზოგადი რეგულირება

კოდექსის მეორე თავი განსაზღვრავს საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობის საკითხებს (მუხლი 7), სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაზე, შესრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა, ხოლო ხოლო განხილვას, დამტკიცებასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის პროექტის მომზადებაზე, შესრულებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადებაზე, აღსრულებასა და ანგარიშგებაზე პასუხსაგებენ შესაბამისი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები, ხოლო განხილვაზე, დამტკიცებასა და კონტროლზე უფლებამოსილია თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

აქვე განისაზღვრება ბიუჯეტის შემოსულობები (მუხლი 10), ბიუჯეტის გადასახდელები (მუხლი 11), ბიუჯეტის პროფიციტი და დეფიციტი (მუხლი 12).

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ბიუჯეტის შემოსულობებს წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა: შემოსავლები; არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები.

ბიუჯეტი გადასახდელებს წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა: ხარჯები; არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები; ფინანსური აქტივებით ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა და ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები.

ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა ბიუჯეტის მთლიანი სალდო. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო წარმოადგენს ბიუჯეტის პროფიციტს, ხოლო უარყოფითი სალდო დეფიციტს.

კოდექსი არეგულირებს ასიგნებების ხარჯვის წესს ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში (მუხლი 13), განსაზღვრავს აღრიხვისა და ანგარიშგების, ასევე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიების პრინციპებს და მათ შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს (მუხლი 14 და 15), ასევე ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის საკასო შესრულებასთან (მუხლი 16, 17 და 18) და საბიუჯეტო სისტემის რეგულირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2011 წელს კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად დაკორექტირდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის განმარტება და ჩამოყალიბდა პროგრამული ბიუჯეტის ცნება:

განისაზღვრა, რომ პროგრამული კლასიფიკაცია, წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ ქვეპროგრამების ერთობლიობას და

განისაზღვრება ბიუჯეტით. ამასთან პროგრამული კლასიფიკაცია ასევე მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს. (მუხლი 8)

პროგრამული ბიუჯეტში ასიგნებები გამოიყოფა მხარჯავი დაწესებულებების და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებები ასევე გამოიყოფა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მიხედვით. პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

კოდექსის მესამე თავი აყალიბებს ბიუჯეტებს შორის შემოსულობების განაწილების წესს. (მუხლი 25-26)

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული, საქართველოს ცენტრალური ხელისფლების ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს და პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (მუხლი 33)

3.1 ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი და საბიუჯეტო განაცხადი

წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესი პრაქტიკულად იწყება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე მუშაობით.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (ე.წ. BDD დოკუმენტი) არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების შესახებ, ასევე ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ. (მუხლი 34)

აღნიშნული დოკუმენტის შედგენას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ შესაბამის ორგანიზაციებთან ერთად (მუხლი 34).

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტზე მუშაობა 1 მარტიდან იწყება, როდესაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა და ვადები.

კოდექსით განისაზღვრება ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შემუშავების ეტაპები, რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს იგი და რა ვადებში ხდება საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის მისი პირველადი, გადამუშავებული და საბოლოო ვარიანტების წარდგენა.

ყოველი წლის 10 ივლისამდე ხდება ამ დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონება საქართველოს მთავრობის მიერ, რომელშიც მათ შორის, განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობები, ასევე ქვეყნის ძირითად პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც მოგვიანებით ხდება საბიუჯეტო განაცხადების წარმოდგენა და წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადება.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონებიდან არა უგვიანეს 5 დღისა მხარჯავ დაწესებულებებს ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მიეწოდებათ საბიუჯეტო განაცხადის ელექტრონული ფორმები, რომელთა შევსებაც მხარჯავ დაწესებულებებს ევალებათ ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული ასიგნებებისა და რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან შესაბამისი ელექტრონული ფორმის მეშვეობით შესაძლებელია ზღვარს ზემოთ განაცხადის წარმოდგენა. კოდექსით დეტალურადაა გაწერილი რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს მხარჯვი დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადი. (მუხლი 35-36)

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით 2011 წლის ივლისში მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი რას გულისხმობს პროგრამული ბიუჯეტი, როგორ ხდება პროგრამების ჩამოყალიბება და მოცემულია პროგრამულ ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებული სხვა მეთოდური მითითებები.

3.2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა და დამტკიცება

წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებზე დაყრდნობით და საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული განსაკუთრებული დაფინანსების წესის გათვალისწინებით დგება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის, მისი განხილვის და დამტკიცების ვადები. კოდექსში დეტალურადაა გათვალისწინებული რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი. (მუხლი 38) პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლამ გამოიწვია აღნიშნული მუხლით დარეგულირებული საკითხების ცვლილებაც და შესაბამისად კოდექსში გატარებული ცვლილების მიხედვით

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მათ შორის უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პრიორიტეტების შესახებ, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს. კოდექსი ასევე განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტით თანდართული მასალების ნუსხას, რომელიც მათ შორის გულისხმობს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

კოდექსით დადგენილი წესითა და შესაბამის ვადებში ხდება ბიუჯეტის პროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში, შესაბამისი შენიშვნების გათვალისწინებით პროექტის განახლებული ვარიანტის წარდგენა და დამტკიცება. დამტკიცება უნდა მოხდეს შესაბამისი წლის დეკემბრის მესამე პარასკევამდე, ან თუ ამ ვადაში ვერ მიიღო პარლამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, პროექტს ხელახლა უნდა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა. ბიუჯეტის პროექტთან შესაბამისობაში მოდის ქვეყნის ძირითად მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტიც, რომლის საბოლოო ვარიანტის წარდგენა ინფორმაციის სახით ხდება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისათვის. (მუხლი 38-39)

4. პროგრამული ბიუჯეტი

პროგრამული ბიუჯეტი წარმოადგენს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ერთ-ერთ ტიპს და მისი ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა ბიუჯეტის დაგეგმვისას გაიწეროს არა მხოლოდ შესაბამისი ღონისძიებისთვის საჭირო ასიგნებები, არამედ ის შედეგები რისთვის ხორციელდება ბიუჯეტით გათვალისწინებული თითოეული ღონისძიება. პროგრამულ ფორმატში ნათელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი კონკრეტულ ღონისძიებაში ჩადებულ ფინანსურ რესურსებსა და მიღებულ შედეგებს შორის, რაც სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად გამოყენების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ასევე, პროგრამული ბიუჯეტი საშუალებას იძლევა მთელი ბიუჯეტი დავინახოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში. პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას ნათლად ჩნდება მიღწეული შედეგები და არა მხოლოდ ათვისებული ასიგნებები, შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის შესრულების შეფასებისას აქცენტი გადატანილია დაგეგმილ და მიღებულ შედეგს შორის ურთიერთშესაბამისობაზე.

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა საშუალებას იძლევა წლიური ბიუჯეტის კანონი მჭიდრო კავშირში იყოს ქვეყნის განვითარების საშუალოვადიან გეგმასთან (MTEF) და მხარჯავი დაწესებულების მიერ განსახორციელებელი ერთი მიმართულების პროგრამები ბიუჯეტშივე დაჯგუფდეს შესაბამისი პრიორიტეტის ქვეშ. პროგრამული ბიუჯეტი უფრო გამჭვირვალეს ხდის თავად ბიუჯეტის სტრუქტურას და შინაარსს, ვინაიდან ასეთი ტიპის ბიუჯეტის ძირითადი კატეგორიაა პროგრამა, რომელიც იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებების შინაარსიდან გამომდინარე და ამ ტიპის ბიუჯეტი არ წარმოადგენს მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის ასიგნებების განაწილების მექანიზმს, შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტი უფრო ინფორმაციულია ტრადიციულ ბიუჯეტთან შედარებით. პროგრამულ ბიუჯეტი თავისი შინაარსიდან გამომდინარე

მხარჯავ დაწესებულებებს მეტ დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს, ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტისთვის ამოსავალი წერტილია პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნის მიღწევა და ნაკლებად მნიშვნელოვანია პროგრამის შემადგენელ ღონისძიებებს შორის ასიგნებების გადანაწილებისთან თუ სხვა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული მექანიზმები, შესაბამისად ამ ტიპის ბიუჯეტი შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს ბიუროკრატიული პროცედურები და ბიუჯეტის დაგეგმვის, აღსრულებისა და შესრულების ანგარიშების წარმოების პროცესი უფრო ორიენტირებული იყოს შინაარსსა და შედეგის მიღწევაზე.

2009 წლიდან დაიწყო მუშაობა პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით, როდესაც პილოტ სამინისტროებს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო) დაევალიათ 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, როგორც ტრადიციული ორგანიზაციული, ისე პროგრამული ფორმატით. 2010 წელს პილოტი სამინისტროების რაოდენობა გაიზარდა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოს დაცვის სამინისტრო) და პარალელურ რეჟიმში პროგრამული ფორმატით მომზადდა, როგორც პილოტი სამინისტროების 2011 წლის ბიუჯეტის პროექტები, ასევე 2010 წლის პილოტი სამინისტროების პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. პარალელურად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლებთან. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების, სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და საქართველოს კონტროლის პალატასთან აქტიური თანამშრომლობით 2011 წელს შემუშავდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

ვინაიდან პროგრამული ბიუჯეტი უფრო ინფორმაციულია და მოიცავს ინფორმაციას არა მარტო პროგრამების დაფინანსების, არამედ მათი შინაარსის, მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისთვის შემუშავდა ბიუჯეტის კანონის ახალი სტრუქტურა და იმ დანართების (პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანართები) ფორმატი, რასაც წინა წლების ბიუჯეტები არ ითვალისწინებდა. პროგრამული ფორმატის სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურით:

- პირველ ოთხ თავში მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობები, გადასახდელები, ფუნქციონალური კლასიფიკაცია, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა;
- მე-5 თავში წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);
- მე-6 თავში პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობაც;

- მე-7 თავში წარმოდგენილია ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა;
- მე-8 და მე-9 თავებში მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები;

წინა წლებისგან განსხვავებით, პარლამენტში წარდგენისას პროგრამული ბიუჯეტის პროექტს, მეტი გამჭირვალობის მიზნით თან ახლდა ინფორმაციული დანართები, სადაც უფრო დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ პროექტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, კერძოდ:

- პროგრამული ბიუჯეტის დანართში მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები;
- კაპიტალური ბიუჯეტის დანართში მოცემულია ინფორმაცია 2012 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი კაპიტალური პროექტების შესახებ (მათ შორის პროექტის მთლიანი ღირებულება, მისი დაფინანსების წყაროები, დასრულების ვადები და სხვა);
- ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების დეტალური ჩაშლა და ინფორმაცია თითოეული პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციების შესახებ;

5. ბიუჯეტის მართვა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

5.1 საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელები გარდა მხარჯავი დაწესებულებებისა ასევე გამოიყოფა საერთო-სახელმწიფოებრივი დანიშნულების გადასახდელების მიხედვით, რომელიც მოიცავს:

- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- ✓ საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;
- ✓ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს;
- ✓ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;
- ✓ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს.

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კატეგორიები შეიძლება განისაზღვროს წლიური ბიუჯეტით, წლიურ ბიუჯეტშივე განისაზღვრება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების განმკარგავი, გარდა ამ გადასახდელებით გათვალისწინებული ფონდებისა. (მუხლი 27)

საბიუჯეტო კოდექსით განისაზღვრება საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებში გათვალისწინებული სხვადასხვა ფონდებიდან თანხების მიმართვისთან დაკავშირებული საკითხები და გამოყოფის წესი.

5.2 სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება, წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა და სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა

საბიუჯეტო კოდექსი ასევე არეგულირებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილების ზოგად წესს და ადგენს გარკვეულ ლიმიტებს. ასიგნებების გადანაწილების წესს ადგენს საქართველო ფინანსთა მინისტრი (ბრძანებით).

ერთი მხარჯავი დაწესებულებიდან სხვა მხარჯავ დაწესებულებებზე ასიგნებების გადანაწილება შესაძლებელია მხოლოდ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანით. წლიური ბიუჯეტის კანონში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა ასევე განისაზღვრება საბიუჯეტო კოდექსით. (მუხლი 40)

საბიუჯეტო კოდექსში პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით გატარებული ცვლილებების თანახმად მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდექს შორის თანხების გადანაწილებაზე არსებული 5%-იანი შეზღუდვა 2012 წლის 1 იანვრიდან ვრცელდება მხოლოდ მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილებაზე.

საბიუჯეტო კოდექსი ასევე განსაზღვრავს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ასიგნებების გადანაწილებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტების და პროგრამულ კლასიფიკაციაში ცვლილებების გატარების საფუძვლებს და ზოგად წესს. (მუხლი 31)

საბიუჯეტო კოდექსი ასევე განიხილავს საგანაგებო ბიუჯეტის დამტკიცების პირობებსა და წესს და მასთან დაკავშირებულ ბიუჯეტის მართვის განსხვავებულ წესს. (მუხლი 32)

5.3 სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

საბიუჯეტო კოდექსი ადგენს ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვაზე ზედამხედველ პირს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) და განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებას გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. (მუხლი 46)

მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ. საქართველო ფინანსთა მინისტრი კოდექსით განსაზღვრულ ვადებში იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახდელების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციისა და არსებული რესურსის გათვალისწინებით. (მუხლი 47)

5.4 სახელმწიფო ვალი და სახელმწიფო სესხები

კოდექსი განსაზღვრავს სესხის აღების, სახელმწიფო გარანტიების გაცემის უფლებამოსილების, სახელმწიფო ვალის ლიმიტებთან, სახელმწიფო ვალის აღებასთან და გარანტიების გაცემასთან და სესხის გაცემის უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ მარეგულირებელი ნორმებს (მუხლი 21-24).

სახელმწიფო სესხის აღება და სახელმწიფო გარანტიების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ხელისუფლებს უფლება აქვთ სესხი აიღონ საქართველოს მთავრობისგან ან/და სხვა წყაროებიდან მხოლოდ საქართველოს ნებართვით.

წლიური ბიუჯეტი ადგენს ლიმიტებს სახელმწიფო ვალის მთლიან ოდენობაზე, რომელიც შეიძლება დაუფარავი იყოს საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის. ლიმიტები დგინდება ცალ-ცალკე საგარეო და საშინაო ვალისთვის, ასევე ცალკე ეროვნული ლიმიტირებას ექვემდებარება ეროვნული ბანკისგან აღებული სესხი.

ასევე 2013 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შევა საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელიც აწესებს ლიმიტებს სახელმწიფო ვალისთვის, მთლიანი შიდა პროდუქტის არაუმეტეს 60%-ისა.

სახელმწიფო ვალის მართვისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. საქართველო ფინანსთა სამინისტრო წლიური ბიუჯეტითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო ვალი აღებისა და სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ.

სახელმწიფო ბიუჯეტის სესხი შესაძლებელია გაიცეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებიდან სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით.

საბიუჯეტო კოდექსი ადგენს ნორმებს, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა (მუხლი 59-64) (გარდა კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა).

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემა შესაძლებელია, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ან საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რომელშიც უნდა განისაზღვროს: სესხის მიზნობრიობა; სესხის გაცემის წყარო; სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ან/და გამონაკლისი შემთხვევა; სესხის გამცემი, გამომყოფი, მიმღები, კონტროლის განმახორციელებელი და ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარეები; სესხის ოდენობა; სარგებლობის წლიური განაკვეთი; სესხით სარგებლობი და სესხის დაბრუნების ვადები.

კოდექსით განსაზღვრული ზემოთაღნიშნული ნორმები არ ვრცელდება უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გასაცემ სესხებზე; სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე გასაცემ სესხებზე და საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებამდე გაცემულ სესხებზე, გარდა ამავე კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

6. ნაერთი ბიუჯეტი, სხვადასხვა დონის ბიუჯეტები, ბიუჯეტის ბალანსი და დეფიციტის დაფინანსების წყაროები

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კონსოლიდირებულ ბიუჯეტს. ნაერთი ბიუჯეტი არ ექვემდებარება არცერთი ხელისუფლების ორგანოს მიერ დამტკიცებას.

საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მომზადების, წარდგენის, განხილვის და დამტკიცების მარეგულირებელ ნორმებს და მათ საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებულ დებულებებს. ასევე აყალიბებს ტრანსფერების სახეებისა და გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის ფორმულას. კოდექსითვე დგინდება შემოსულობების განაწილების წესი ბიუჯეტებს შორის.

ბიუჯეტის ბალანსის შედგენისას გამოიყენება, როგორც GFSM 2001, ისე GFSM 1986 კლასიფიკაციები.

GFSM 2001, მიხედვით, რასაც ეფუძნება საქართველოში მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაცია დეფიციტი/პროფიციტი წარმოადგენს შემოსავლების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობას, რაც ბალანსდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებით.

GFSM 1986 მიხედვით, რომელსაც ასევე ხშირად იყენებენ ერთიანი მთავრობის წლიური ოპერაციების მაჩვენებლების წარმოსადგენად დეფიციტი/პროფიციტი წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსავლებს, მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს და წმინდა დაკრედიტებას შორის სხვაობას. წმინდა დაკრედიტება წარმოადგენს დაკრედიტებასა და გაცემული სესხების უკან დაბრუნებას შორის სხვაობას. ამ მეთოდით დაფინანსების მთლიან მოცულობას წარმოადგენს საშინაო ან/და საგარეო წყაროებიდან მიღებული კრედიტებისა, ასევე პრივატიზაციიდან მიღებული შემოსულობების და პერიოდის დასაწყისისთვის არსებული დეპოზიტების გამოყენების/დაგროვების ჯამი.

7. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

საბიუჯეტო კოდექსი ადგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშების წარმოდგენის ვადებს და განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რასაც ეს ანგარიშები უნდა მოიცავდეს. კოდექსით განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის წლიურ ანგარიშთან დაკავშირებით საქართველოს კონტროლის პალატის მიერ საქართველოს პარლამენტისათვის მოხსენების წარდგენის და საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის დამტკიცების ვადები.

საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსავლების აკრეფისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებას და მართვას ზედამხედველობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს მიმართოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შეჩერების მოთხოვნით. საბიუჯეტო სახსრების არაკანონიერი ხარჯვის დადსტურების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან ფულის გაცემა ხორციელდება ბიუჯეტის განწერისა და ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის საფუძველზე.

სახელმწიფო ხაზინის საქმიანობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბიუჯეტის შემოსულობების მიღების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების გადახდის და სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშებზე ფულადი სახსრების ოპერაციების გამჭვირვალობა და სრული ანგარიგება. სახელმწიფო ხაზინა პასუხსიმგებელია სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების და სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების სრული და სწორი აღრიცხვისთვის. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გადახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპზე. ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსულობების და ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მიხედვით.

ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც უნდა მოიცავდეს მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს, შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ანგარიშგებებს, რომლებიც ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ფინანსთა სამინისტრო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში გატარებული ცვლილების თანახმად, ცვლილება შევიდა ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ნორმებშიც.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტისათვის ითვალისწინებს ინფორმაციის წარმოდგენას მათ შორის მხარჯავი დაწესებულების მიერ წლიურ ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამების და ღონისძიებების აღწერას და განმარტებების წარმოდგენას ორგანიზაციული კოდების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს

შორის შეუსაბამობაზე თუ აღნიშნული 30%-ს აჭარბებს, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს.

პროგრამული ბიუჯეტის შემთხვევაში ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მათ შორის წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების და მიღწეული შედეგების შესახებ და შეუსაბამობებთან დაკავშირებით განმარტებებს, თუ მხარჯავი დაწესებულების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა აღემატება 15%-ს. (მუხლი 56).